ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება № 1-74

" 22" თებერვალი 2019 წ.

ქ. თბილისის ტურისტული პოტენციალის შესასწავლად 2019 წლის განმავლობაში ტურიზმის სექტორის გამოცემების ჟურნალისტების, ბლოგერების და ტურისტული ასოციაციების წარმომადგენლების ვიზიტთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების დაფინანსების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,კ" და „პ" ქვეპუნქტების, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ვ" ქვეპუნქტის, ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №34-115 დადგენილების მე-13 და მე-14 მუხლების საფუძველზე და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის 2019 წლის 18 თებერვლის №21-01190494088 წერილის გათვალისწინებით,

ვბრძანებ:

1. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურს, ქალაქ თბილისში, 2019 წლის ,,თბილისში შემომყვანი ტურიზმის ხელშეწყობის" პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების ფარგლებში ტურისტული პოტენციალის შესასწავლად 2019 წლის განმავლობაში ტურიზმის სექტორის გამოცემების ჟურნალისტების, ბლოგერების და ტურისტული ასოციაციების წარმომადგენლების ვიზიტთან დაკავშირებით, მოწვეული სტუმრების სასტუმროში განთავსების, კვებითი გამასპინძლების, ავია ბილეთის, ტრანსპორტირების ხარჯის ანაზღაურება 150000 (ას ორმოცდაათი ათასი) ლარის ფარგლებში.
2. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურს, ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული თანხის გადარიცხვა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის მოთხოვნის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროგრამით „თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერა" (კოდი: 04 08) გათვალისწინებული ასიგნებებიდან.
3. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურს, ამ ბრძანების პირველი პუნქტის შესაბამისად უზრუნველყოს საჭირო ღონისძიების გატარება.
4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს ილია ელოშვილს.
5. ამ ბრძანების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის ბრძანების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ N6), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კახა კალაძე

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 170, ფაქსი: (+995 32) 2 378 200